

გოგონები

ბავშვების
გაზეთი



ახალი ცხოვრება

— „რუმბა“ მოგვეწვინა, უბადესპანი“ დაუკარი.

№ 10 მაისი, 1988
ზანი 60 კაპ.

ის რები

ლიბერალურმა მოიერიშეთა რაზმებმა კონფისკაცია უწყეს და დასწვეს ავსტრიელ ფსოქიატრის, ფრეიდის ყველა შრომები.

არის ანდაზა ერთი ქართული რომელიც ამბობს: ხშირად ხდებოდა, რომ ავადმყოფი როცა მორჩება მაშინ ექიმი ავიწყდება.

ბიჭრ შემთხვევაში ანდაზის სიბრძნე რომ მართალია, მე იგი მჯერა, თუმცა ლიბერალურ მოიერიშეთ არ ავიწყდებათ ექიმი ჯერა.

და ვით პაციენტს შეფერის ერთგულს ხენის სიპტომის გამოჩენაზე, ფსიქიატრ ექიმ ფრეიდის წიგნი და მის სახელი აკრავთ ენაზე.

ეს ანდაზის აზრს არ სცვლის რადგან ჯერ სრანს კლიენტები არ მოჩივნილან, და ფსიქიატრის წიგნების ფრონტზე ცეცხლით, მახვილით, გამოჩენილან.

ინგლისელ ასტროლოგების კონფერენციამ „დაადგინა“, რომ ინგლისის მეფე იცოცხლებს ღრმა მოხუცებულობამდე.

ეთქვათ არ ასრულდა „ოქენილება“ დაკარგვით შეფუ, დაობლდა ვრი, მაშინ რას ფიქრობთ „ასტროლოგებო“, „ქვეს გახეთქს“ ოქმის ამონაწერი?!

გერმანიის იურისტთა ყრილობაზე გამოვიდა გებელსი, რომელმაც განაცხადა: ჩვენ; ნაციონალ-სოციალისტებს გესურს არა მართო გარდაუქმნათ ჩვენი საკლთარი ქიკყანა. რამედ ჩვენ გვირდა დაგვიხაროთ განაწამებ ვეროპას ახალი ცხოვრების შექმნაში“.

რომც არ გინდოდეს გაიცინო, რას იზამ, როცა გებელსის სიტყვას წაიკითხავ... თაფლიან სიტყვას, „გულკეთილობის“ ნიმუშები რომელმაც მოგვცა, რომლის შესახებ დაიწერა და ბევრჯერ ითქვა... ახლაც არ გინდათ დაიჯეროთ რომ ფაშიზმს უნდა ყველა ქვეყნების სიკეთე და ბედნიერება? რა ვუყოთ მერე, თუ ფაშისტის საქმე და სიტყვა ერთი მეორეს არახდროს არ შეფერება?

დემიან ბედნის

ფეოკრატული ზარაჟი

სალამი ჩვენო დემიან თავზარდამცემო მტრისაო, შენი კალამი ბასრია, როგორც მახვილი სურისაო. გძელი გზა გამოგივლია, არც იმდენის ხარ ხნისაო, ეთულო ჩვენი ქვეყნისა, გული გაჭვს ქაბუჯისაო.



ნახ. ბედნის („პრავდიდან“).

ფიქრები მატარებელში

ზოგიერთ კომპიუტერებში ჩაის პლანტაციებს პირობები ანადგურებს.



— რაიონში გამოწვივს: კომპიუტერებზე ჩაის პლანტაციები თნებმა შექამეს. მე მთხოვენ პასუხს... როგორ? მე თხაზე ნაკლები ვარ? დამნაშავენი თნებია და არა მე!..

ინგლისის გაუბედავმა და ორკოფულმა პოლიტიკამ იტალია-აბისინიის საკითხში დასცა ერთი ლიგის ძედაც შეწყვეტილი ავტორიტეტი ხალხში.

კაცთა შორის სიყვარულზე ლაპარაკი იმდენია, რომ მინისტრი ბრიტანეთის დაიღალა იდენია. მაგრამ შოთა ასე ამბობს: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაო“, ის ვინ იყო დედაბერი, რომ დააშროთ კოვზით ზღვაო?!

ფინილმა ფაშისტებმა საზიზლარი წერილები მოათარეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მცხოვრებლებს მოუწოდებენ— შეიქულონ რუსები.

სპილოს ვერაფერს დააკლებს მყუფარა. წუწვი ფინია, თუნდაც მას მქონდეს იმისი მტრობა. შური და უნია. ლობდან იცის წამუტუნო თუმცა იქაც აქვს შიშია. დეი, იუფოხს!.. რა ვუყოთ! ფინიაც ძაღლის ჯიშია.



აბისინიის თანამედროვე პეიზაჟი

ახალი პლაზმი

მოირგესთან რამდენიმე მთვრალი კაცი მოიყვანა მილიციელმა.

ერთ მათგანს ჩამოფლეთილი ჰქონდა ახალი პლაზმი. გვეგონებოდათ აფრიკელ ველურის ყაიდაზე არის ჩაცმულიო.

— აბა, რაშია საქმე? — შეეკითხა მათ მორიგე და შეუღდა ოქმის წერას.

— საქმე იმაშია, უენი ჭირიმე, რომ აი ეს პლაზმი გუშინ დიდი ვაივავლახით გამომიტანა ერთმა ჩემმა ნაცნობმა ნოქარმა მალაზიიდან. კარგი პლაზმია ე. ი. კარგი პლაზმი იყო. შემომიჩინდნენ ესენი და...

— აბა, სოსო, არ იცრუო, მართალი თქვი! — შესძახეს მასთან დაპატიმრებულებმა.

— იცრუო, თქვენ ხომ არა გგონივარ მე სოსო ვარ. ჰოდა შემომიჩინდნენ ესენი:

— ვა სოსო, რა მშვენიერი პლაზმი გიყონია. მაყარიჩი ჩამოდი! ხომ, მართალია? — შეეკითხა ვაზარალებული დაპატიმრებულ თანამესუფრეებს.

— მართალია, სოსო, მართალია! — დაუდასტურეს მას.

— ჰო-და, როცა დავითვერით, რაღაცაზე ჩხუბი მოგვივიდა.... ესეც ხომ მართალია? — ისეც შეეკითხა დაზარალებული მათ.

— ესეც მართალია! — დაუდასტურეს მას.

— ჩხუბი რაზე მოგვივიდათ? — შეეკითხა მორიგე.

— რაზე?... ვა, ეს კი არ ვიცი, აღარ მახსოვს! — და მიუბრუნდა თანამესუფ-



რეებს: — ბიჭებო, რაზე მოგვივიდა?

— უენ არ იცი, ჩვენ საიდან გვეცოდინება!

— ეს არც არის საინტერესო და საჭირო ამხანაგო მორიგე. ფაქტი ის არის რომ ჩხუბი მოგვივიდა, ერთმანეთს ვცემით და ეს ჩემი ახალი პლაზმი, რომლის სამყარიჩოც

დავითვერით, აი, ასე შემომახიეს ტანზე. ხომ მართალი ვარ, ბიჭებო? — შეეკითხა დაზარალებული თანამესუფრეებს.

— მართალი ხარ! — დაუდასტურა ყვე-
ამ და ერთმა მათგანმა მორიგეს უთხრა:

— რაჯა რომ სოსომ ვიამზო....

— აბა, აბა, არ იცრუო, მართალი უთხარი! — დაუძახა დაზარალებულმა მას.

— რაჯა რომ სოსომ ვიამზო, სულ ალაღ მართალია. სულ ვერც იყო, არც მეტი, არც ნაკლები. ჩვენც ხომ მართალი ვართ, სოსო?

— მართალი ხართ, მართალი! — დაუდასტურა სოსომ.

— მაშ თუ ორივე მხარე მართალი ხართ, აქ რამ მოგიყვანათ? შეეკითხა მათ მორიგე.

— ჩემი პლაზმი? — იკითხა სოსომ. გამოსაფხიზლებლად მოჩხუბრები საკანში წაიყვანეს.

კინკარი



— საწვიმარი ტანსაცმელი ჩაიცვი: ამინდის ბიურო სწერს, რომ დღეს კარგი დარი იქნება: აუცრლებლადგაწვიმდებ.



სტუმარი საკუთარ ოჯახში მისაბეზრებელია, თორემ სხვა სასა სტუმრობაზე უკეთესი არაფერია. ეს კარგი ხანია მჭონდა შეგნებული და სწორედ ამიტომ იყო, რომ დადგა თუ არა ზაფხული, ავიბარე ჩემი ნამრავლით და სოფლისაკენ მოვუსვია.

— კარგია, — გამბობდი მე. — ამ ზაფხულში ყველა ნაწარმ-მეგობრებს მოვიწვევებ. ნათესავებს ვესტუმრებ, თავსაც შევწინააღმდეგებ და რაც მთავარია, მოვიხვევებ კაცებს!

გაჩაღებული მუშაობა მჭონდათ ამ დროს სოფელში. ჩემი მისვლა კაცებს გაეხარდათ.

— კარგ დროს ამოხვედი, ამხანაგო სერგო, შეიღი მუშაზელი ჩვენი კოლექტივისათვის მისწრებაა სწორედ! — მითხრა კოლექტივის თავმჯდომარემ და ჩემს ნამრავლს გადახედა.

— ვინ შეიღი? — გავიკვირე მე.

— შენ, შენი ცოლი და აი ეს ბავშვები. ჩვენ ყველას ვაფუჩინებ საჭმელს. ზოგი საბარაფში გამოგვადგებიან. ზოგი-სათხავეში. ამ ბავშვებს კი ჩაის ვაკრეფებთ.

ცოლმა გააკვირვებით შემომხედა.

— რას ამბობ? მუშაობა რომ მკვარებოდან... არა, შევარებოდან კი არა, რომ შემეძლოს...

— ეჭიმებმა აუკრძალეს მაგას მუშაობა, კუჭის სიგანეების გამო! — დამხმარა ცოლი.

— მასე თუ კია, რაღა; მარა თქვენ და თქვენმა შეიღებმა კი უნდა მოხედეთ. მძიმე სამუშაოს არ მოგცემთ. ძალიან გვესპირაობა მუშაზელი, თორემ არ შეგაწუხებდით.

ცოლს არ ესაიმოვნა. ტუჩები აიგრიბა შემდეგ ფრჩხილებზე დაიხედა, რომლებიც სისხლივით დაწითლებული მჭონდა.

წითელ ფრჩხილებს თავმჯდომარემაც მიაქცია ყურადღება.

— ფრჩხილების ასეთი ავადმყოფობა არ მინახავს სწორე რომ ღითხრა! — თქვა მან და უფრო დაუკვირდა ცოლის ფრჩხილებს.

ასეთი ქათინაურები არ მოეწონა ჩემს მეუღლეს, მაგრამ არაფერი უთქვამს.

როგორც იყო ავიცილეთ მე და ჩემმა ცოლმა სამუშაოზე ვასვლა, ბავშვები თავის ნებით წავიდნენ. სამი წლის ბიჭმაც კი ჩამოვიკიდა კალათი და გაყვა სხვებს ჩაის საკრეფად.

რაკი უფრო თავისუფალი დაგრჩით მე და ჩემი ცოლი, დავიწყეთ ნაწარმ-მეზობლების ჩამოვლა.

— არიქა, ვოგო, გამეიტანე სკამები, მართვი ამ პატროსნებს. ჩემი სიკტილი, რაფერ დროს მესტუმრეთ... წადი, ბიჭო, ჩამოყარე კვიკვი და მოუტანე ამ უცხო სტუმრებს, პირს გაისველებენ... ეკო ღორი, იქით, შე სამგლეგ... რაფა ცხოვრობთ, ბატონო?... ღორის ქირი გავიჩნდა შენ... შენ რაი დაგეძარათა, ჩემო რძალო, მაგ ფრჩხილებზე? რა ავადმყოფობაა მანი? ეჭიმმა რა თქვა, რაიო?... დეილუბე ძაღლო იქით, ნუ ღრენ, ნუ გეშინია ხშირი სტუმარი არ იყო... კუკ-კუკ-კუკ... ინდოურის ქირმა ვაფუყვიტა თქვენ ერთ დღეს... მეც მიხლოდა ამოსვლა იმ თქვენს ქალაქში, აი ცოლმა მინდოდა ჩამომეყვანა... წაი ნენა და იმ ჩახანას შეუწითე ცხელი... თქმი, ოქმი, ოქმი, ორი ძირი ქინძი მჭონდა და სულ გამინადგურეს მაგ შეწვევებულმა ქათმებმა; კუკულები მანაც ყავდეს მაგ კრუხის ქირის მოსასპობს! — თითქმის ყველა ოჯახში ასეთი შეხვედრა გვეჭონდა.

ასე და ამგვარად მოვიწვევებ ნაწარმ-მეგობრებს. ზოგან კვიკვიტეთ „გავისოლეთ პირი“, ზოგან ვაშლი, ჩურჩხელა და არაფე მივირთვიეთ. აღოგალაგ ინდაურისა და გოჭის ხორციც გვახელით, ცხვრის წვადი და ახალი წიწილაც არ მოგვკლებია. აჟად იყო თუ კარგად ყველამ პარტივი გიცა, ააშენოს დმერთმა იმთი ოჯახი.

ჩემ ცოლს ფრჩხილების სიწითლის ავადმყოფობამ მესამე დღესვე გაუარა, მაგრამ სანამ ჩვენ წამოვიდოდით, ისეთი ავადმყოფობით რამდენიმე იქაური ქალი დაავადდა და ყველას სისხლივით დაუწითლდა ფრჩხილები.

ჩვენს ბავშვებს ზაფხულის განმავლობაში თან დღე გამოეშუშავებიათ. ყველას ცალცალკე მჭონდა ჩაწერილი თავის ნამრავლად. ყმაყოფილი იყვნენ ვარდა უმცროსისა.

— მე ბლივადილმა აღ ჩამოვიკლა კაოათ, თოლომ მერი ნენოდა! — საყვედურობდა უმცროსი. მთელი სეზონი განმავლობაში ხუთი დღის სამუშაო შეესრულებია. ისე მჭონდა მისი ბავშვები, რომ ზანგის ბავშვი გვეგონებოდათ.

— ჩემი ქმარი რომ იყო შესძლებს ქალაქში, ისეთი არა...! — ტრაბახობდა ჩემი მეუღლე და ყველას ჩემს მაგივრად ამღვვდა პირობას.

— ჩემი შესაძლებლობა მე კარგად ვიცოდი, მაგრამ რა უნდა მეთქვა? ვუჭობდი ჩემთვის.

გათავდა ჩვენი სტუმრობის სეზონი და დაიწყო ჩვენთან „სტუმრობა“.

— ახლა კი ხარ ცოდეა, მაგრამ რა გიყო, — ვეუბნები ჩემს თავს, როცა ზედიზედ მოდიან. სხვადასხვა სტუმრები სოფლიდან.

— რომ შეგებრდი, კიდევაც ვესტუმრე. აბა რაფა, მოგატყუებდი თუ? რაფა ძაღლი დამჭამდა, რაფა მოგატყუებდი. დაჯექი შეილო, მაგერ ლოგინზე ხომ გახსოვს ზაფხულში რომ კვიკვიტე მართვი, იგინი არიან, ჩვენებია, რაფა დაგძრახავენ... ხომ კარგად ბრძანდებით. მაგი ფრჩხილები ქე მოგჩინია, ჩემო რძალო, შენ... ხომ არ მივიწყენ შეილო, აქანე? ამ ზამთარში იყავი და ზაფხულში რაფა ვაგაჩრებ, იმდენი საჭმე გვაქვს. აგენტან ცხოვრებას რა გლობია, ნუ გეშინია პური არ მოგაკლონ და ხორცი... მორცხვია მისი ქირიბე. თუ არ დაძაღვით, ვერაფერს ჭამს ისე.

ასე დაიწყო.

აქნაი სამასწავლებლო ინსტიტუტი გაუხსნიენ და იქნენ უნდა მომიწყო აი ბიჭი. კუჭით იყავი, შეილო, რაც ვითხრას, ყველაფერი დაუჯერე ამ პატროსნებს. მაგინია აწი შენი პატრონი, პურმა-რილს არ დაგამადლიენ ამ ორ წელიწადს და მერე შენც ქე ეკა პატრივი....

— სამედიცინო ტექნიკუმიო და უნდა დამხმარო რამე-გოგო შენებურად არ იცეკოქო, თეატრში რა კინოში აგენს წაყოთ, ისე არ წახვიდე, აქანე ქალაქია, ვინცა რაცხას იმას გიზამს და თავს მოგჭერი იცოდე... ბინა კია აქეს ამ ოჯახსმწვებულს და საგებ-სახურავი.

მოთავსდა მესამეც.

— საზღვაო ტექნიკუმი გაუხსნიენ, მართალია? შენ კო ვეცოდინება მაგი. მომიხერხო უნდა რამე. ბაბამ წერილი გამომატანა შენთან, მარა ქე დაგვარეგ სატხა. ამხანაგები შეწვედენ, ცოტა წოუქვიფეთ, ალბათ მაშინ ამომყვა ჯიბიდან. ბინასაც ის მოგცემოა, ბაბამ მითხრა, თუ ცალკე მომიხერხებ, იმას რაღა გლობია, მეც თვისუფლად ვიქნები და თქვენც არ შეგაწუხებთ ვარდა სადილ-ვახშმისა.

— მომზადება გაქვს რამე?

— მომზადება რომ მჭონდეს, აღარც შენი პრიტექცია დამჭირდებოდა.

— აბა ისე ვინ მივიღებმა ახლა გამოცდებია ყველგან.

— რომელ გამოცდებზე მელაპარაკები შენ. ჩემი გამოცდებმა ასაა, რომ მე ღარიბი კაცის შეილი ვარ... მოჩინა და გათავდა ჩვენს შორის აღძრული დავა ტექნიკუმში გადაწვეტიტეს და ვო ნაიდან არაფერი იცოდა, უფრო უთხრეს.

ეს ერთი მოვიცილე, მაგრამ...

— რაცხა ტერაპეტიის ინსტიტუტი გაუხსნიენო, კაა დობტურები მოუყვანიენო, იქნენ უნდა მიმიყვანო, მანდამანც კი არაფერი მტკივა, მარა ყველაფერი უფასოა და მინდა მეც ვისარგებლო.

გავცოფდი კაცა. — თქვენი ოჯახი დაქციოს მატხოფარნა, კომუნისტებო, რაფა ყველაფერი გააკეთეთ და ააშენეთ ჩემდა ამო საფდებად. წინად ქე ვიყავი მოსვენებული. ქალაქში ჩამოსვლას, რაფა გახედავდა ვინმე. ან რა საჭმე მჭონდა რომ ჩამოსულიყო. ახლა იმდენი სკოლები, ტექნიკუმები, ფაბრიკა-ქარხნები საჭმელად დაწესებულებები გახსნეს, რომ გგერდს ვერ შეუვლის კაცო ვინდა არ ვინდა, ისწავლე, იეჭიმე, იმუშავე, გაერთე, დაისვენეო.

ეს კარგია, მარა მე რა დავაშავე? მე ქე წავაყვდი ამას ამდენი სტუმრობით.

გზავრობა კახეთის მატარებლით

სამსახურის გამო კახეთში მიმავლინეს მთელი საღამო ყოყმანში გაატარა.

— გაბედო თუ არა, გაბედო თუ არა? — ვბუტბუტები ჩემთვის.

— რა უნდა გაბედო? — შემეკითხა ცოლი.

— კახეთში წასვლა.

— მაგას რა გაბედვა უნდა?

— კახეთის მატარებელი გაიხსენე და გაიგებ.

— მატარებელი ზურგზე უნდა აიკიდო?

— არა, მივ უნდა ჩავჯდეთ.

— ჰოო, იგი კი მართლაც გასაბედი საქმეა.

— მაინც რას მირჩევ?

— უნდა წახვიდე, უბრალო საქმე ხომ არ არის? თესვას შეეხება.

მოგეზადე, ბილეთი ქალაქის სადგურში ავიღე და როცა შევეკითხე მატარებლის გასვლის დრო, — მოლარემ თავაზიანად მომიგო.

— მატარებელი ღამის პირველ საათზე გადის, მაგრამ ათზე რომ გახვიდეთ აჯობებს.

— რატომ ათ საათზე?

— საერთოდ, კახეთის მატარებელზე წამსილებები შვიდი საათიდან იწყებენ სადგურზე მისვლას, რიგს იკავებენ და ემზადებიან.

— მერე სადგურის ადმინისტრაცია უშვებს?

— რატომ არ უნდა გაუშვას? — აქ ხომ საქმე მგზავრთა გართობას შეეხება.

— როგორ თუ გართობას?

— ისე, რომ სხვა მატარებლებით მიმავალი მგზავრები უყურებენ კახეთის მატარებლის მგზავრების წვალბას და ერთობიან.

— რატომ წვალობენ?

— რა წან? მატარებლის ოთხი ვაგონი უბია და თორმეტი ვაგონის საკმარი მგზავრები კი მიჰყავს.

— სად ეტევა ეს ხალხი მატარებელში ჩასვლამდე?

— ნაწილი დარბაზში, ნაწილი მოედანზე ნაწილი გასავალ კარებში.

— მერე ხალხს გავლა არ უნდა, როგორ დადიან?

— უბრალოდ: ყოველი მატარებლის გასვლა — გამოსვლის დროს სადგურის წესრიგის მკველები ეჯიკავებიან მათ ხან ერთ კუთხისკენ, ხან მეორისაკენ, ხან — გარეთ.

— მაქანზეც არის გასართობი, როცა კახეთის მგზავრები გადიან.

— იქ რალად?

— მისციმენ თუ არა ნიშანს, იგრილებენ ჯორში მდგომნი — წიოკობით, ჩოჩოლოით, გარბიან, ერთმანეთს თელავენ, აწვებიან, ყვირიან, იქცევიან, ატყვრევენ, ხოლო როცა მაქანზე გაუღენ, მატარებელი არ ხვდებათ.

— სად არის მატარებელი! — ყვირიან ისინი.

— მატარებელი ტრეტი პუტშია! — უბასუნებენ.

— „ტრეტი პუტი“ რომელია?

— ქვევით, ნახევარი კილომეტრის დაშორებით.

გარბიან ღრიანცვლით ხურჯინებისა და ტიკების ჩნევით და ასე იგრიში მიჰქვთ მატარებელზე. ამაზე სხვა მგზავრები ერთობიან.

—:—

— სანთელი, სანთელი! — ყვიროდნენ ბნელ ვაგონში, — სანთელი ანთეთ.

— ვა, კალთაში რომ მიჯდები, ჩენი სიყმიშვილი ხარ? — მოისმოდა ერთი კუნძულისიდან.

— შლიაბა ნუ დამიწყლიტე, კამერო, — ზრდილობიანად აფრთხილებს წრიაბა ქალის ხმა ვიღაცას.

— ახარ, გებნები, რომ ეს ადგილი ჩემს ვნით ზანიტია მეთქი, არ გესმის? — უფრთღება საერთო ურიაბულს ვიღაცას დაბეჭილი საყვედური.

როგორც სიანს, „აგრესორი“ არაფრად ადღებს მის ლაპარაკს და იკავებს მის „ზანიტი“ ადგილს.

— ვაჰ, მაშ ისე გამოდის, რომა, მე ლიგანაცია ვყოფილვარ და შენ კი იტალიანცის მუსოლინი.

— როგორ თუ მუსოლინი, რა ბევრსა ყატყატებ შენა? მკვებედ ესერის მას ვიღაცა.

— ისე, რომა, გებნები თავი დაანებე მეთქი, შენ კი ნაბაროტ ეპატრონები.

— რა ძალიან იფხორები, განა ვერ გიყნობ, რომ ძველი ჩაპტნი ვაჭარი ხარ?

ამაზე „ლიგანაცია“ რბილდება და შემარიგებელ კილოზე უბასუნებს.

— ვა, შენს სიყმეს ვენაცვალე, დაგიჭერია? — დააგეტ ჰალალი იყოს, რას შესაორები?

— იმას, რო ჩაპტნი ხარ, ჩაპტნობაი უნდა მოვსაბოთ.

— ვა, მე თუ ჩაპტნი ვარ, შენ კიდევ ხოსლონიკი იქნები, მაგაზე რა გაჯავრებს? აჰა, ვაჭურედები, თევი ვაგბდები, ხმას არ ამოვიღებ, დაბრძანდი.

ეს თეზიტი სჭირს. ზავი მყარდება. ყველა ადგილს შოულობს, ყველა სადღაც ეტევა, ყურდება ვაგონი. შემდეგ ნელ-ნელა მუსიიფი იწყება. ტკბილი და გულითადი. სადღაც ვივიღაცა საერთაშორისო პოლიტიკაზე ლაპარაკობს, ვიღაც ახალ რეკორდებზე მოუთხრობს. სტახანოვილი მოძრაობის მეთოდებზე საუბრობს.

უნუგეშო ნუგეში

— ა.კ რკინისგზის სამგზავრო მატარებლებში საპირფარეშოები ზოგჯერ დავეტილია ტვილისის სადგურში წყლით მოუმარაგებლობის გამო.



— ეს ეს არის მცხეთას ვცილდებით... მერე რა გზა გვაქვს უნდა მოვიცადოთ, ხანამ ბათუმში ჩავიდოდეთ...

— ეპეი, რა ვაქცაცი ყოფილა ი სტახანოვი, ვენაცვალე იმი მარჯვენას, — ისმის იმ კუბეში, სადღაც „ლიგანაცია“ და კუნძულებზე დაობდნენ.

— პირველი დამკველია მთელ საქრთა კავშირში.

ეს ყოფილ ვაჭარს თავისებურად ესმის მასლაათში ერევა და ეკითხება:

— ვისზე ლაპარაკობთ ძიუჯან?

— აი ტახანოვი როა, დამკველი, ჰაან ვაქცაცი ყოფილა.

— რა გეარიაო?

— ტახანოვია, ალექსი ტახანოვი.

— არა თარხანოვი იქნება. ვიქნოფ, დიდებში ცხოვრობს. მართლაც კარგი დამკვერელი ბიჭია, — ჰამაც მირაზოვით ჰიდაობს.

— თარხანოვი, როგორ იქნება, როცა სტახანოვია? — ურთავს ვიღაც.

— ჰო, მაშ შაიძლება ხახანოვი იყოს, — ისიც მეცნობა.

— რას მიედ-მოედები შენა? — ბრაზობს კოლმეორენე, — რის თარხანოვი, რის ხახანოვი? დონბასელი გმირია, ქვანახშირის ამომღები, რუსი კაცია.

ყოფილი ვაჭრის ჩაჭრამ სიცილი გამოიწვია.

— რაო? ნახშირის იღებსო? — მამაცხონებულო ვერე იტყოდი რალა; მე მეგონა ჰიდაობაზე ამობდით, — მაშ ილაპარაკეთ პაეი-ლოსტა.

საერთო მხიარულებას რევიზორის გამოჩენა სწყყევტს.

— ბილეთი, თქვენი ბილეთი, — იძახის კონდუქტორი.

— რევიზორი რუსია, უხმოდ ამოწმებს ბილეთებს. ერთ გურჯაანელს ძველი ბილეთი აღმოუჩინა.

— ოშტრაფოვატ! ეუბნება ის გამცილვბელს.

— რას მერუსულება? — ეკითხება ძველი ბილეთის პატრონი.

— დშტრაფეთო ამბობს, — უხსნიან მას გურჯაანელი ილიმება.

— დამტრაფთაშ და მეც დავლევ.

— როგორ თუ დალევ?

— იერე რომა ტრაფი სუფრაზე ვიციო, ჩი ტაქანს ზეიდმეტათ დავალევიებო. (საერთო სიცილი).

ერთ დედაბერის ბილეთი სოლ არა აქვს ეკითხებიან მიზეზს.

— ი შვილო, რა ბილეთი უნდა ერთო ტანჯილა დამრჩა.

— თავიდანვე არ გქონია.

— რა უშავს შვილო, გამხდარი დედაკაცი ვარ, ბევრს კი არ ვიწონი. ხომ სულ ერთია, მაინც მიგორავს ე მატარებელი.

— კაკ ფამილია? — ეკითხება მას რევიზორი.

— კეკელა, შვილო!

— კეკელა შვილო?

— არა, შვილო, კეკელა!

— არა შვილო კეკელა?

— არა, კეკელა, კეკელა, შვილო.

— არა, კეკელა შვილო? (ყველა ეს სიტყვები, რევიზორს დედაკაცის გვარი ჰგონია იწერს და ვაკვირებით ამბობს):

— სტრანო, სკოლკო ფამილიი უ ეტომ ეჩნინი?

სიცილი მატულობს, მხიარულება იზრდება; და ასე მხიარულად მივიდვართ გურჯაანამდე, სადღაც მე მიმავრებული გაბლაფრათ თესვის კამპანაის ჩასატარებლო.

შახსადანი



— ვაიგე? ჩვენი კლასიკოსები კოლმეურნეობაში შენულან: კოლმეურნეები კითხულობენ.

ჩიქორთუნი ქართული

კიროვის ჩაიონის სასამართლოს 1936 წ. 4 თებერვლის (საქმე № 2-713) გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„განიხილეს საქმე არშაკ უმიკოვის მიხეილ თოფურიასთან ხარჩელის გამო მის ბალკონიდან უმივალნიკის ჩამოღების შესახებ:

სასამართლოს ძიებით გამოირკვა, და დადასტურდა ის გარემოება, რომ მხარენი ცხოვრობენ ქ. ტფილისში ფელიაბოვის ქ. №20 მდებარე სახლში, მეორე სართულზე“.

როგორც გადაწყვეტილებიდან სჩანს, გამოსარკვევი და დასადასტურებელი „უმივალნიკის“ ადგილი კი არ ყოფილა, არამედ ის, ცხოვრობენ თუ არა მხარენი ტფილისში და თუ ცხოვრობენ, რომელ ქუჩაზე, რომელ სახლში, ან რომელ სართულზე?..

შემდეგ: „მოპასუხეს მაძიებლის ბალკონ-

ზედ, რომელიც არის დაშორებული 12 მეტ. უკიდურა უმივალნიკი და გაკეთებული აქვს ბალკონის მხრიდან პატარა პერეგაროტკა, რაც ერთი კაცი ვაიმართება. ე. ი. სიგრძე სივანე უდრის დაახლოებით ერთ მეტრს“.

როგორც ტექსტის შინაარსიდან ჩანს, აქ ყურადღების ცენტრში „უმივალნიკი“ კი არ არის, რისთვისაც ორი ოჯახი ერთი მეორეს გადაეცადა, არამედ: „პერეგაროტკის“, კაცი-სა და ბალკონის ზომა.

კიდევ შემდეგ: „გარდა უმივალნიკისა მოპასუხეს არაფერი აქვს შიგ და ხმარობს პირ-საბანს“...


როგორც ვხედავთ მოსამართლეთათვის „უმივალნიკი“ და პირსაბანი სხვადასხვა ნივთია.

ამ გადაწყვეტილების ნოლოში ვკითხულობთ: „მახვე (მოპასუხეს) გადახდეს მაძიებლის სახარგებლოდ ადგილობრივი დათვალიერების ხარჯები 40 მანეთი და სასამართლოს ხარჯი 5 მანეთი“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასამართლოს შრომა ძლიერ იაფად არის შეფასებული. ნუ თუ ამდენი ჯაფა სამი მანეთის მეტი არ ღირს? ეს ხომ თავის თავის შეუფასებლობაა?...

მალამო

ნიანვის შენიშვნა: ჩვენ გვგონია, რომ არც სამი მანეთი ღირს ასეთი შრომა. ალბათ ეს ჰქონდა სასამართლოს მხედველობაში, როცა სასამართლო ხარჯები სამ მანეთად შეიფასა.



—მეც იჯახის განმტკიცების მომხრე ვარ, მხოლოდ აბორტივ
მტკიცე ბაზაზე, რა არის კარგი იჯახი? — თეორია, რა არის
კარგი აბორტი? — პრაქტიკა, და საქმოდ ხელსაყრელიც. განხა-
კუთრებით მაშინ თუ სწრაფად აკეთებ და განამრჯელოსაც
ხლომად იღებ. მე, როგორც ექიმი — აბორტიზაციის პრაქტიკის
მომხრე ვარ, და უპირატესად საკუთარი პრაქტიკისა მე თვითონ
შეაჩხვარებ. *თეორიის მომხრე ვარ.*



—რა უბღაღი მათ იჯახს დავებმარო? ხომოვინებით, მაგ
ნერვი ძირითადი ხელუფასიდან, მე ისედაც მათ სახარებლო
ყოველთვიურად გამაგირიდან შნ შან. და 09 კაბ. მირიცხვებს
მშობლებს დავებმარო? უარს არ ვამბობ. მე ისედაც გახულ წელს
ფასდაღებით მამარქმს ვაუგზავნე ხმელი ტარანი. დეე, ჭამოს
მოხუცმა. მე არ ვარ წინააღმდეგი, მაგრამ არ შეიძლება დახმა-
რება უხასრულობამდე. ასე, რომ მოვიქცე მე ვერასდროს ვერ
შეიძენ ავტოს.




—ნება მიბოძეთ ქმრის მაგვირად ვილაპარაკო: ის მეტად გაუ
ბეღავია და საკუთარ პასუხის მიცემას არაა ჩვეული. მე ბავშვე-
ბის ყოლის მომხრე ვარ, მაგრამ ისინი ტანს უფუჭებენ ლამაზ
ქალს, ამიტომ მე შევიძინე ფინია ჯეკა. ის ძალიან უხდება ჩემ
ფიგურას. ბავშვებს სჭირდებათ ჩაცმა-დახურვა, ივანე პეტრეს-ძენ
ცოლივს ყოფნის ძალ-ღონე, რომ მე ყოველი სეზონის შესაფე-
რად შემოსოს. ამიტომ ჩვენი ცოლ-ქმრობა მტკიცე სულიერი
კავშირზეა მხოლოდ დამყარებული: ხან ის მწერს სირიმში, ხან
მე ვუბასუბებ კავკასიიდან... ცოლის მოვალეობა? — არ ვიცი, არ
გაშიგია. სხვათაშორის ამის შესახებ რაღაცას მელაპარაკებოდა
ერთი ახალგაზრდა, როდესაც უკანვე მაცოდებდა მონკოვში ქმარ-
თან.



— ამბობენ; ნუ აფერებ სახალხო სასამართლოში აღმინტების
საქმეებს, როგორ დავამოვართ სწრაფად, როცა მოდის შენთან
ორი მოქალაქე და აცხადებს, ერთი მათგანი ამბობს: „მე დედა
ვარ“ მეორე კი გვეუბნება: „ზოგიერთი წერილმანი ფაქტების
მიხედვით შეიძლება მე მამა ვიყო. მაგრამ ფულის გადახდა არ
მსურს“. რა თქმა უნდა ვიწვევთ, მოწმეებს, რომ გამოვარკვიოთ
რომელია მშობელი და რომელი არა. ამის გამო საქმეც განრე-
ბულია. გაზეთები საყვედურს აცხადებენ და გვირტყამენ. ბავ-
შვებო კი იზრდებიან და არც ჭამენ ძალიან ჩახლავორთებული
სიყვარულისა და ფულის გადახდის საქმეები...



— მთელი ჩემი არსებით ბედნიერ ქორწილსა და შვილებს მაგრამ ალიმენტების წინააღმდეგ ვარ ალიმენტებს განსუთქი-
ლება შეაქვს მშრომელ ოჯახის მყოფობაში. ალიმენტები ამხე-
დრებს ბავშვებს მამის წინააღმდეგ და არ ავიწყებენ მათ აფიანთ
თავს. ერთხელ, როდესაც ერთ „დაუმსხვილებელ“ ტრესტის სა-
მეურნეო ნაწილის გამგის მოადგილე ვიყავი, მე როგორც მამას
და სამეურნეო მუშაკი ერთი ბავშვისათვის ვახდობ ალიმენტებს
და მერე რა? — არავითარი მორალური კმაყოფილება. ხელში
ვგრძნობდი რაღაც დანაღებს და ფოსტა-ტელეგრაფში მჭირდე-
ბოდა ხლოფორთი. ქალი თავისუფალი უნდა იყოს, დეე, მას
სახელმწიფომ აძლიოს ხელფასი, აბა რატომ უნდა იყოს ის დამო-
კიდებული კერძო ხვადზე—მამაკაცზე?



— შემოქმედებით ლუსკან ოჯახი არ სჭიოდედა, ბავშვები,
შენის ბაიონი მარტო ცხოვრობდა. ჯერ უაღადა აკრეთვე. როცა
მე ვარააგან სონახთან წავედი ვცხოვრობდი გენრიეტასთან და
დავსდევდი ნინას, ვიგრძენი ოჯახის მთელი საშინელება. მე არა
თუ აღარ შემქმლო შემოქმედება, დროც აღარ მქონდა, რომ
კატო მენახა. ოჯახი ეს სიყვარულის ლეშია, ხელფასის კრემატო
რიუმი და საერთოდ ოჯახი არაა ზეგარდმო ნიჭით მომადლებუ
ლი კაცის საქმე. ცოლებს საკითხი შედარებით ადვილია: ისინი
გვალატობენ და სხვებთან მიდიან, მაგრამ ბავშვები? ისინი არას-
დროს არ გვალატობენ და ყოველთვის შინ რჩებიან, როგორი
უმსგავსობაა! საერთოდ ნუ მაწუხებთ მე ყოფაცხოვრებით მე ეს
ორი წელია უამისოდაც ვერ ვახერხებ მუშაობის დაწყებას და
ვცხოვრობ მხოლოდ სამი გამომცემლობის იმედებით ჩემი ტალან-
ტისადმი.



— არა ვარ კერძომშრომელი ოჯახის მოწინააღმდეგე. პირი-
ქით, თვით მე ამ ცოტახნის წინად სამი ოჯახი მყავდა და ყვე-
ლა თითქოს განგებ გაჭირვებაში იმყოფებოდა. ახლა მათი რიც-
ხვი შემცირდა. ერთი ოჯახი არქიტექტორს მიბოძრდა, უკვე
აღარა გაჭირვებული. სარეჟისორად ხაზაფხულს საკოსტუმერც გამო-
მიგზავნენ. მაგრამ რა შუაში არიან ბავშვები? მე დიდებს ვაძლევ
უპირატეხობას. განსაკუთრებით ბლონდინ ქალებს, ბრუნეტ ქა-
ლებსაც, მოდების ფურნალის ორი—სამი ნომერი პატეფორნი—აი
რა ცოტა სჭირდებათ დიდებს. ბავშვები კი რა დიდი მოთხოვნი-
ლების არიან! არა, პასუხისმგებელ დაქანცულ მუშაკებისათვის
ჯერ კიდევ ძლიერ ადრეა მრავალბავშვიან ოჯახზე ფიქრი.



— მატარია ინიკო ალიოვა, დაიბადა რევოლუციის იეთოთსაქტე
წელს. არავითარი ძველი ჩვევა არა აქვს. იზრდება ნორმალურ
პირობებში, რომ გახდეს სსრკ-ს კარგი მოქალაქე. დასაკრთხავთა
არა მომზიდველ კომპანიაში შემთხვევით მოხვდა; მას რომ შეე-
ძლოს თავის აზრების ნათლად და მკვეთრად გამოთქმა, ის აუ-
ცილებლად ასე უმასუსებდა:
— მაღლობს ვაცხადებ იმ კანონისთვის, რომელიც მტკიცედ
იცავს საბჭოთა ოჯახის ინტერესებს და ჩემ უფლებებს.



რომელიღაც ხელსაწყოში ჩვენს კუბეში შემოვიდა მეზარი ქალი.

— ფაცულა ხარ შენ? — შემოსვლისთანავე შეეკითხა მან ვაგონში მყოფი მეზარი ქალი.

— კი, ვარ, მაგრამ შენ ვინა ხარ?

— ვერ მიცანი? მე კესარია ვარ! — და სინათლეზე ძველმა მეგობრებმა ერთმანეთი იცნეს. იცნეს და ერთმანეთს ჩაეკონენ. ერთმანეთი ჩაკოცნეს.

მე თავი მიმნარედ მოვიკატუნე. ზემო ადგილზე ვიწექი. ხოლო ჩემს პირდაპირ მეორე ზემო ადგილზე ვილაც შენარხოშებულნი მოქალაქეს ღრმად ეძინა.

— საიდან მოდიხარ კესარია?

— ეჰ, ჩემო ფაცულა; საიდან მოვიდარ რომ ვაიმბო, ეს მთელი ჩემი თავდასავალი იქნება. უბედური ვარ, ფაცულა უბედური, უბედურ ვარსკვლავზე ვყოფილვარ დაბადებული.

— რა მოგივიდა, კესარია? ხომ ვაბნობდი?

— განა ვითარ? ჯერ იყო და გავეცი ჩვენი დაბნის მასწავლებელს. ვუყურე სამ თვეს... ოთხს... ხუთს... ათს... ერთი წელიწადს... მეორესაც, მაგრამ შენ არ მომიკვდე, არ იქნა ცხოვრებას პირობების გაუმჯობესება. ხომ იცი მასწავლებლის მაშინდელი ხელფასი? შენ კი მიცნობ. თავიდანვე ვიყავი გემოვნების ქალი.

მაცუარდა: ჩაცმა-დახურვა და წასვლა-წამოსვლა. მზიარული ცხოვრება და დროს ტარება. ჩემი ქმარი საწყალი კი, როცა ჯამაგირის მიღებას ელოდებოდა, გაანაწილებდა ძველ ვალებში და ვაბიკი აღარ გვრჩებოდა. შემეცოდა საწყალი, შევიბრაღე და გავეცარე. თითონ შენ ვანსაჯე: იცხოვრებოდა მასთან? არ იცხოვრებოდა. მისი მცირე ხელფასი რას გვიხამდა ორ სულს. პო, ეს მოხდა მეორე წელიწადს. ხომ ხედავ, რამდენხანს ვამიძლია მასთან. აი, ასეთი საწყალი გული მაქვს. ალბათ ერთმანეთს კიდევ არ ვავეყრებოდით, მეცოდებოდა, მაგრამ ერთ ზაფხულს ჩვენს დაბას ესტუმრნენ მსახიობები და პოეტები. სადამო გამართეს. ერთ ახალგაზრდა პოეტს ისე მოგეწონე, რომ ჩემზე ლექსი დასწერა და სცენაზე წაიკითხა. ის ლექსი, აი, აქა მაქვს. — და მან ჩველიგულიდან ქალადი ამოიღო. — აი, ნახე რა მშვენიერი ლექსია:

როცა ხედავს მაგ შენს სახეს
მოცურავე ცაში მთვარე, —
ის ღრუბლებში იმალება
დარცხენილი და მწუხარე.

— მართლა ძალიან შეყვარებინარ! — დაუდასტურა ფაცულამ.

— ძალიან, ისე ძალიან, ჩემო ფაცულა, რომ აი ნახე რას წერს ჩემზე:

მე უშენოდ ვერ ვიცოცხლებ,
მე არა მაქვს გასაქანი.
მივეჯაჭვე შენს ალვის ტანს,
ვით მყინვარზე ამირანი.

— სულ მთლად ვაუგეებია, კესარია. შენს სიყვარულს.

— ხომ ხედავ, ალვის ხეს შეადარა ჩემი ტანი, რომელიც უფრო მუხას ჰგავს.

— ასე იცის სიყვარულში.

— რაღა ბევრი ვაგებდელი, ჩემო ფაცულა, ვაფხვი ცოლად.

— აბა, რას იზამდი!

— შენც კი იცი, როგორი ნაკითხი ქალი ვარ. დანტე უგალომდა ბეატრიჩეს, პეტრარკა — ლურას, ლეონარდო-და-ვინჩი — ჯიოკონდას და ჩვენი შოთა — თამარს. მეგონა მეცა და ჩემი ახალი ქმარიც ხელოვნების ახალი ღმერთები ვაფხდებოდით. რამდენი ხანია კაცობრიობას არა ჰყავს დანტე, პეტრარკა, ლეონარდო და შოთა. ალბათ ახლა დაიბადა ერთერთი მათგანი ჩემი მეორე ქმრის საბით-მეთქი, ვფიქრობდი, პო-და ვაფხვი.

— ძალიან კარგი გიქნია!

— აგერ გეტყვი. ტფილისში ჩანვლისთანავე გამოირკვა მისი ავლადიდება. თურმე ვაფხვილია. შეფურივდი ბედს. თითქმის ერთ წელიწადს ვაგედი მასთან. ნშირად ითვრებოდა: ამბობდა: ასე უიციოთ პოეტებმაო. ვიღარ ვაუქედი. მივატოვე, აბა რა მექნა, ჩემო ფაცულა?

— ძალიან კარგი გიქნია.

— პონორარზე და ისიც იმისთანა პოეტის პონორარზე ცხოვრება შეუძლია ჩემისთანა ქალს? სიმართლე გითხრა, როგორც კი შევარყვე რომ მასში ხეირი არ იყო, დავიწყე სხვა საქმრის გამონახვა.

— აბა რას იზამდი, ბეჩა!

— შენ კარგად იცი, თუ თავიდანვე როგორ ვიყავი კინოთი დატაცებული. ტანის სისქელები შემიშალა ხელი, თორემ კინო-

მსახიობადი მიმდოდა წასვლა. პო-და, ჩემმა პოეტმა ქმარმა გამაცნო ერთი წვერმოშეებული ახალგაზრდა, რომელსაც კანონიერად იწოდებდნენ. საკმარისი აღმოჩნდა, რომ მეგობრობიერება მისთვის ჩემი მისდამი სიმბატია, რომ წინადადება მომცა მისთვის. რა. მეც აღარ მიყოყმანია.

— რაღა იყოყმანებდი, ქალი!

— მეგონა, რომ დიდი მსახიობი ვახდებოდა, ქართველი ფერბენსკი, ანდა ჩაპლინი. მაგრამ დაბე ჩემს უბედობას. სურათი შუა გადაღებაზე იყო, რომ სრულიად მოხსნეს უფარვისობის გამო და ვათავდა ჩემი კინო-მსახიობი ქმრის კარიგრა.

— შევიძლიანთ მიბრძანდეთ საოდანაც მოსულხარ. მე შენი რჩენის თავი არა მავს! — მითხრა ერთ დღეს.

— ეს შენ რომ არ ვეთქვა, მე უკვე დიდი ხანია ვიცოდი და კაციც მყავს ამორჩეული! — ნიშნის მოგებით ვუთხარი.

— მერმე ვის ვაპყვი? — შეეკითხა ფაცულა კესარიას.

— დახურული განმანაწილებლის ნოქარს. ხომ გახსოვს, დახურული კოთბორატორების ნოქარები იყვნენ მაშინ ყველაფერი. ისე შეგუყვარდი იმ ნოქარს, რომ მიატოვა ცოლ-შვილი და აღიმგეტ-საც აღარ აძლევდა.

ყველაფერი ჩემთან მოქონდა. მაგრამ მალე მოიპოო დახურულ-ლები. საქონლით გაიგო ყველაფერი. დავარდა იშვილებიდან ჩემი ნოქარი ქმარი. ვადაბარების დროს დანაკლისი აღმოჩნდა. დაიქორეს და განსახლში ჩასვეს. დავრჩი ისე უქმროდ. ეს ყველაფერი ისე უცბად და მოულოდნელად მოხდა, რომ მე სხვა საქმრის გამონახვა ველოდი კი მოვასწარი. მაგრამ ბევრი არ დამიყოვნებია.

ერთი დირექტორი გამაქნეს. ვაფუცინე, გამიცინა, სამსახურში მომამყო და სიყვარული გამომიცხადა. მანაც მიატოვა ოცი წლის სტაჟიანი ცოლი შვილებით და მე შემირთო. შემაცურა ფუფუნებაში. მაგრამ სულ რაღაც სამიოდე თვე იყო გასული, რომ დაიწყო პარტოკომენტების შემოწმება და ჩამოართვეს პარტბილეთი.

— მერმე რაღად ვინდოდა.

— არაფრად დირექტორობიდან მოხსნეს და პასუხისცებაში მისცეს.

— საწყალი კესარია! მართლა რამდენი დავიდარაბა ვადა-ვიტანია.

— ჯერ საღა ხარ, ჩემო ფაცულა. ასე უქმროდ რომ ვარ დარჩენილი უნუგეშო მთვომარეობაში, ტრამვაიში ყური მოგკარი ლაპარაკს მასწავლებლებისთვის ხელფასის მომატებაზე. რაღა ბევრი ვაგებდელი, დავაველე ხელი ვახეთს, რომელშიაც ეს ამბავი ეწერა, და ვაგებე ზარე სოფლად, სადაც ჩემი ყოფილი, პირველი, მასწავლებელი ქმარი მასწავლებლობს.

— კარგი გიქნია!

— სახლში ახალგაზრდა ქალი და პატარა ბავშვი დამხვდა.

— ვინ გი ბავშვ? — შემეკითხა ახალგაზრდა ქალი.

— მასწავლ ბელი ვასო ბეჯითაძე აქ ცხოვრობს! — ვკითხე მას. მე იგი მეგონა სახლის პატრონი, რომლის სახლშიაც ბინა ჰქონდა დღემული ჩემს ნაქმარეს.

— დიას, აქ ცხოვრობს, შემობრძანდით სახლში! — თავაზიანად შემბატოვდა სახლში. მეც თამამად შევედი, როგორც საკუთარ სახლში!

— აბა რას იზამდი, მართლაც საკუთარი იყო.

— კარგი სახლის პატრონი გვეყოლება, კარგად მოგვემსახურება. ყველაფერი კობტად, სუფთად და ლამაზად არის დალაგებული! — ვაფიქრე და არხინად წამოვეწქი საქანელაში. სწორედ ამ დროს შემოვიდა სახლში სკოლიდან დაბრუნებული ვასო. მე მაშინვე წამოვხტი და ჩავებიე, მან უცბად ვერ მიცნო.

— ვასო, ვერ მიცანი? მე ვარ კესარია, შენი ცოლი.

— გთხოვთ მიბრძანდეთ! — მრისხანეთ შემომიტია მან.

— ბეჩა, რა უზრდელი ყოფილა! — ვაუტვირდა ფაცულას.

— ვასო, ნუ გეშინია. აწი არ ვაგეყვევი, აწი არ ვაგეყრები, არ წაგენხებები. ხომ ვაიგე, თუ რა ზორბად ვაადიდეს მასწავლებლების ხელფასი. თქვენი პროფესია აწი არ ჩამორჩება არც ერთ სხვა პროფესიას. შეერიგდეთ, გენაცვალე, და ვიცხოვროთ ტკბილად, ერთად.

— გთხოვთ, მიბრძანდეთ, მე მყავს ძვირფასი და საყვარელი ცოლშვილი. აი, ესენი არიან! — და მიმითითა ახალგაზრდა ქალზე რომელსაც ხელში ბავშვი ეჭირა.

— უი, ბეჩა, ალბათ ის ქალი სახლის მეპატრონე კი არა, მისი ცოლი იყო!

— პო, მისი ცოლი და შვილი იყო... ახლა იქიდან მოვიდვარ, ჩემო ფაცულა, პირში ასე ჩალაგამოვლებული. ასეთი უბედური ვარ, ჩემო ფაცულა, ასეთი უბედური!

მეც ვეთანხმები, კესარიას თავისი ცხოვრების შეფასებაში.

ქერა

გარიერ გელავაჲ კომკავშირის ბილეთით

ლანჩუთის რაიონში ისევ გამოჩნდა ახალი ტარიელი. ჩვენი დროს მკლავად გარდასასროლო იარაღისა შეჭურვილია აგროტექნიკოსის მოწმობით და კომკავშირის საწევრო ბილეთით.

ეს თანამედროვე ტარიელი ვახლავთ ლანჩუთის რაიონის სოფ. ნიგეზიანის და არჩულის ყოფილი და ამჟამად სოფ. გულიანის აგრო-ტექნიკოსი ვანო უნგიაძე.

— წელიწადში თვე მარტო თორმეტი, ქალები კი ჩვენს ქვეყანაში აურაცხელია, თვეში თითო ქალი მაინც უნდა მომეწონოს... მაინც არ დაიღვეა! — ფიქრობს ხოლმე თავის გულში ტარიელი... უკაცრავად, ვანო უნგიაძე.

მიუხედავად ასეთი წარმოდგენისა, ვასწირა ბედმა და არც ერთმა ქალმა არ გაიზიარა ვანოს „ფილოსოფიური კონცეპცია“ არც ერთი ქალი არ დაეთანხმა ვანოს ცოლად გაყოლაზე მის მიერ გათვალისწინებულ ვადით.


ვანომ ინტიმარი მაინც არ გაიტუნა. ერთხელ ნუნუათი გამობრუნებულმა ქალების კრებულს თვალი გადაავლო და ჩაილიღინა:

„ამასა, იმასა
ამას, იმასა
მოვიტაცებ და წაგიყვან
ჭრელ კაბიანსა.“

შეადგინა გეგმაც, მოიშველია ძმა ბიჭები და მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ „იმიშველა რევოლვერი“, მოიტაცა და წაიყვანა „ჭრელ კაბიანი“.

გავიდა ამ ამბის შემდეგ ერთი თვე. მან ისევ იმიშველა რევოლვერი და ჭრელკაბიანი მეუღლეს გულზე გაუღირა.

— არ ვნახო ჩემს ოჯახში, ერთად ცხოვრების ნორმა უკვე შესრულებულია. დაიკარგე აქედან, თორემ ეს არის „ლივრის“ ტყვიას დაუახლო გულზე.



— აცე, ვირო, რას ვაჩერდი? ვადადი რაღა!
— ვერა ხედავ გზა დაკეტილია და ვადახვლა არ შეიძლება?

— ვანო რას ამბობ?

— ხმა, კრინტი! მარში! ერთი! ორი!

ალარ აცელა სამის წარმოთქმა და შიშით აკანკალებული ქალი ხელივანი „მეუღლის“ უვალებიდან გაჰქრა.

— წელიწადში მხოლოდ თორმეტი თვეა... რა ცოტა რიცხვია!... რა ბევრი ქალებია!... თვეში თითო ქალი მაინც უნდა მომეწონოს... ეხ, ძლივს არ მოვიცილდე ი ჭრელკაბიანი დედაკაცი?... არ მომწონს ჭრელკაბიანი ქალები... — ფიქრობდა „ვანიკა“ უნგიაძე და ერთხელ, როცა ისევ ღვინით ვალეშილმა თვალი მოკრა შავ ტანსაცმელში გამოწყო-

ბილ ქვირე ქალს მძის ისევ ჩაილიღინა:

„ამასა, იმასა
ამას, იმასა...
მოვიტაცებ და წაგიყვან
შავკაბიანსა.“

„ვანიკა“ უნგიაძე მალე გაეშურა შავკაბიანის ბინაზე მძის ქალის მოსატაცებლად.

„შავკაბიანის გულის კარი გამიღვსურებულ ვანკასათვის დაკეტილი აღმოჩნდა, მაგრამ უფრო სავალალო „ვანკასათვის“ ის იყო, რომ გულის კართან ერთად დაკეტილი აღმოჩნდა ქალის ბინის კარები... ედგურა მძის ქალის ბინის კარებს დუგლანის ვანგოლიბოლი მოხვერივით ვანო უნგიაძე... ედგურა, მაგრამ ვერ შეამტერია...
— კომკავშირის ბილეთი ჯიბეში მაქვს, ჩოლოქის სიგრძე ლულიანი რევოლვერია წელზე მკიდია. როგორ უნდა დამიბრთველოს!

— გაცხარდა ვანო უნგიაძე და დაკეტილ კარებს ისევ დაეხვერა... მაგრამ ამოდ... ვერაფერი გააწყო...
— მე თქვენ გიჩვენებთ! — ჩაილულულულა მან სარკმელს მაშურა. ვაისმა იმხვე წუთში მინების ლაწალაწი, ქალის კევილია, შოშის ნამსხვრეთა წკრიალი...


მოცვიდნენ მეზობლები.
— ვინ არის ეს ლოთი?
— ვინ არის ეს ხელივანი?
— აგრო-ტექნიკი ბრძანდება!
— კომკავშირელია!
— ფხხ!!... — ვაისმა შეგროვილ კოლო მეურნეებში.

შეუღვინეს ოქმი.
ლანჩუთის რაისასამართლო ჯერ მაინც ხმას არ რღებს, ვანოს საქმე „ძმა-ბიჭებმა“ მიაძინეს და თავხედი ხულივანი „დამკვერელის“ სახელით სოფელ გულიანში ვადაიყვანეს. გათამამებული ხულივანი, როგორც ადგილობრივი კორესპონდენტი ავიწერს, ლათობას აგრძელებს, ხელში რევოლვერს ათამაშებს და ახალ „დამკვერელურ“ აქტებისათვის ემზადება.

იცის თუ არა ამის შესახებ ლანჩუთის რაისასამართლომ და კომკავშირის კომბატებმა?!

„ნიუ-იორკის ზოობარკის მოლარის მოთხოვნით ზოობარკის ცეცხლგამძლე სალაროს ბენგალურ ვეფხების ვალიაში ინახავენ“
ნახ. გ. როსებახი

ს ი ფ ხ ი ზ ლ ე



— ფრთხილად ძმამ, არ ჩავეძინოს, თორემ ვალიანად მოგვიპარავენ!



შეკავშირება



თმები გამზრდა, თითქოს
დეკანოზი ვარ კარის
და გასაპარსად წვერის
მივდივარ, მივინჯარა.

პირველყოფილ ვაქც ვაგვარ
ამ სახით, „ეშით საცხე“;
— კინო-არტისტი მოდის!
ამბობს ვინც მხედება გზაზე.

და მეც ვიფერებ პოზას,
ულვაშს ვისწორებ თითხთ
და წინ მივდივარ ჩქარა
კინო არტისტის „ვიდით“.

თან თვალით ვეძებ ამრას,
თითქოს გამჭრალა ეხლა,
მოუთმენელად მინდა
პარიკმახერთან შესვლა.

ქონა დავტოვე ერთი,
განვლე ორი და სამი,
ბოლოს ძლივს ვაღწევ მიზანს,
ბიჭებით განაწიმა.

— ახლა კი მივხვდი, რატომ ჰქვია „შეკავშირება“, სიჩვეთქმული, შეკავშირებული არიან, რომ არ დაიცვან ნიხრი და სისუფთა ვე.

დაწესებულებებში არსებული ნაპარიკმახეროები მოფაფეებული არის კიბეების ქვეშ, დერეფნებში და სხვა შეუფერებელ ადგილას, რის გამოც არ არის დაკრული პიფიე-სურსანიტარული პირობები.

ნახ. გ. ისაევინ



მუქი დარაბა მოსჩანს,
წინ ვაკვირდები აბრას
და მას თერთმეტი ასო
„შ-ე-კ-ა-ვ-შ-ი-რ-ე-ბ-ა“

ასე უხმობენ ერთერთს
პარიკმახერთა არტოოს,
(მის წვერთა შორის ვიცილობ
ბევლ ქოსა დალაქს პართენს)

კარი შევალე, შეველ,
სავარძელს ვეცი ხელად,
სარკეს ვავეცქვრი, ვხედავ
შეგ სახე მიჩანს ჭრელად.

და ვეკითხები ოსტატს,
— ეს რა მოშვლია სარქის?
და წერტილები, ვარკვევა
ჭუჭუი ყოფილა სარქის.

სარქის ხელს უხეამს სარკეს,
თვალს სკვინჩასავით ნაბავს,
და დაუბანელ ხელით
ფინჯანში საპონს ქათავს.

გამქაფა, დანას მიღერს,
შიშით თვალს ვხუტავ... ვახელ: —
ვხედავ სარკეში ხუთგან
დაკარული მაქვს სახე.

მეწვის კანი და ვფიქრობ
(თან მომიშვია ცხვირი):
ამდენ ჭრილობით ომში
შევიქნებოდი გმირი.

და ამ ფიქრის დროს პირზე
შაბი წამისვა წამზე,
სახე ნატყუნმა სიმწრით
ცაფა დავიწყე სკამზე.

საპნით გასვრილი თათი
ნიკაბზე შემაწმინდა
და ჩამწურულა ყურში:
— მასაფე ხომ არ ვინდა?

უკმაყოფილო დარჩა
უარი უთბარ როცა,
დაუბანელი თათი
კვლავ პირზე შემახოცა.

ნიხრი ეკიდა მალლა,
ძლივს მისწვდებოდა თვალი,
წვერის გაპარხვა ღირდა
იქვს აბაზ ნახევარი.

გამომიწერა ნაცვლად
ორი მანეთი მანა,
ფუღოს რომ ვიღებდი, ხურდას
თვალეები მიატანა.

წინ გადამიდგა ოფი,
უნდოდა რაღაც ეთქვა,
და გამოსვლის დროს კარი
გამწერალად მომახეთქა.

ჰიგიენის სახლი

საბავშვო სასახლე

გარეობაზე ვაგონიდან გადმოვიდა თუ არა, ნიანგი შეხვდა მას. ძველმა მეგობრებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

— სად მივჭებარება, ბესია? — ჰკითხა ნიანგმა მას.

— ავტო მივდივარ სასახლეში, მთავრობაში. ჩვენი კოლექტივის შესახებ მაქვს საქმე!

— კოლექტივის თავმჯდომარე ხარ. რატომ არცხვენ კოლექტივის მთავრობის წინაშე?

— რას ლაპარაკობ? ვარჯხვენ კი არა, გვემუშავს ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებთ. ჩვენი კოლექტივის ყოველი წევრი შეძლებულად ცხოვრობს.

— შენ არ გეტყობა! — და ნიანგმა ახელ დახვდა მას. ათვალიერ-ჩაატვალიერა თავიდან ფეხებამდის.

— ვგრე ნუ კი მიყურებ. ეს ახალი ჩემებია, მაგრამ დასერილია, რადგან წამოსვლის დროს წვიმა იყო. თმისა და წვერის ვაკრეპა-მოპარსვა ვერ მოვასწარი, რადგან ვახურებ ბოლო მუშაობა გვქონდა და... მაგრამ ნიანგმა შეაჩერა ბესია.

— თურმე ამს. სერგომ ერთი დირაპლონი არ მიიღო, რადგან მასთან დირექტორი წიორგაუპარსავი შესულიყო. ვერ გაიპარსეთ, და შემდეგ მოდიოთ მოხსენებაზეო, — უთხრა თურმე მას.



ახეა, ჩემო ბესია, ეს ყველაფერი წესია.

ვგრე წესრიგში მოიყვანე თავისი თავი: გაიპარსე, დაიბანე, გაიწმინდე, გაკობტავდი და ისე გამოცხადდი მთავრობაში.

— ეეე, რას ამბობ? სად მაქვს ამდენი დრო... დაბანას აბანოში წასვლა უნდა. მერემე გაპარსვა... მერემე გაწმინდა... ამას მთელი დღე მოუნდება. დრო არა მაქვს.

— სულ არის ეს ერთი საათის საქმე.
— ერთ საათში აბანოში ვერ მივალ.
— ყველაფერი ეს ერთად არის აქვე. წამოდი ჩემთან! — და ნიანგმა ბესია შეიყვანა


საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარკმთვარის საზოგადოების

ჰიგიენის სახლში



ფენსაცმელის ვასაწმენდად დაჯდა ჩვენი ბესიაო... მოეწონა გაწმენდილი, ახე უკეთესიაო.

საბავშვო სასახლეში ნიანგმა დაათვალიერა ბესია ყველა განყოფილებაში.



აქ ბავშვებს კრეჭენ, ხომ ხედავ, როგორ უვლიან ბატარებს! ვინც კარგად უვლის მშობელი, ბავშვებს ყველა აქ ატარებს.



ქალების განყოფილება: აქ არის, ჩემო ბესია, აბა მითხარი, სად არის ამაზე უკეთესია?

ბესიას ისე მოეწონა ყველაფერი, რომ ნიანგს ჰკითხა:

ეს ერთი მთელ ტვილისში?

— ამ სახლს აქვს განყოფილებები: ერთი — ლინინის ქუჩაზე და მეორე — ვერის სახლი.

— ცოტაა. ყველა საბავშვო სასახლე რომ ამითი იყოს, ესენი ასევე მოაწყობდნენ სხვა საბავშვო სასახლეებსაც.

— ალბათ ეს ასეც იქნება, ჩემო ბესია. ან-ლა კი დაჯექი და გაიპარსე. დაჯდა წვერი გაიპარსა, არ უგვრძნია დანის პირი. (მოაგონდა სხვაგან პარსვა, ბევრჯერ გახდა ანატირი).

გაიკრიჭა თმა და წვერი, თავიც საბნით დაიბანა, და ნიანგმა შემდეგ იგი ქვევით შეხედა ჩაიყვანა.



შხეფს ქვეშ დადგნენ და მოუშვეს წყალი ცივი... წყალი თბილი. იბანავეს, გამოვიდნენ გუჭყისაგან გაწმენდილი.

— როგორ მოგწონს? — შეეკითხა ნიანგი ბესიას, რომელიც სარკეში თავის თავს ათვალიერებდა.

— თურმე გვარიანი კაი ბიჭი გყოფილვარ! — კმაყოფილებით თქვა ბესიამ და ნიანგს მადლობა გადაუხადა. — შენ რომ არ შემხვედროდი, მართლაც სირცხვილს ვჭამდი, გაუპარსავ-გაუკრეჭავი და დაუბანელ-გაუწმენდავი წავიდოდი მთავრობასთან

— შეძლებული ცხოვრება საამური მაშინ არის, ჩემო ბესია, როცა კულტურულად ვცხოვრობთ. კულტურული ცხოვრება კი აბამას თხოულობს!



კარგანანს იარა სოფ. კოლაკინ (გურჯაანის რაიონი) კოლმეურნეობის სამმა ყოჩმა: თავმჯდომარე მუნჯიშვილმა, მონაგარიშვილმა და მინდორაშვილმა, საღარ მობარტეს, კოლმეურნეობის იყენენ, მუშაობენ მომსახურებას, მაგრამ მანათი ვერცხად იმოქმედებს.

— რა ვადაკეთოთ? — სთქვენს ბოლოს — საქმი რამე უნდა ვიმოვიტოთ, თორემ ასე არ უნდა ვიყოთ.

დასხდნენ და იფიქრეს. იფიქრეს და მოიფიქრეს: „აქ ყველაფერი წესრიგშია, სხვაგან უნდა ვეძიოთ საკბოლო“, სთქვენს და ტფილისისაკენ გამოვიყოფნენ.

ტფილისში თავიანთ კოლმეურნეობის წევრებს მიაკითხეს, ვამბე იოსებ ალხანაშვილს კარგად ყოფნა უსურვეს და დასძინეს:

— ბიჭო, ალხანაშვილო, საქმე გლახად ხარ, წუხელის ტფილისისაკენ რომ მოვდიოდით სამივემ ერთად ვნახეთ სიზმარში, რომ შინ ცხრა ათასი მანეთი გავვიმასქნებინა, სრული ცხრა ათასი, არც მეტი, არც ნაკლები! რევიზია უნდა გავიკეთოთ, თორემ ცხრა ათასს თუ კიდევ მოუმატებ, მერმე ვადახდებს ვეღარ შესძლებ და შავად წაგივა საქმე.

ალხანაშვილი სიზმარულსაგან ფეხზე აღარ იდგა: იცოდა, რომ ამხანაგების სიზმარი გაბითურდებოდა და ცხრა ათასი მანეთის გაფლანგვის მიგებრად ცხრაათასჯერ მართალი გამოვიდოდა.

მონაგარიშვილს სიმონამ სულ ახლა გამოიჩინა რაც გამოცდილება ჰქონდა: გადაქეპა საბუთები და გაფლანგული სრული ცხრა ათასი მანეთი გამოიყვანა. „არც მეტი, არც ნაკლები“.

„კიდევ ვინგარიშოთო“ — მოითხოვა ალხანაშვილმა, კიდევ იანგარიშა მონაგარიშვილსიმონამ, ისევ ცხრა ათასი გამოვიდა. იოსებს სიმშარისაგან ცხრაათასი ღირბი ბალანი უკლებზე დაუდგა თავზე და სთქვა:

— იქნებ ესეც სიზმარიო!

სიცილისაგან კინაღამ ჰიპზე ვასკდნენ რევიზორები: „რა სიზმარი, რის სიზმარიო“. ალხანაშვილს შეუტყის და ჩააცვიდნენ:

— ახლავე ხელწერილი დაწერე, რომ ფლანგული ხარ დანაკლისი ცხრა ათასი მანეთი გადაგვინადო, თორემ ცხრა წელიწადს არ ავაცილებთო.

გამწარბებულმა იოსებმა დასწერა ხელწერილი, მაგრამ ხელი არ მოსწერა: „კიდევ ვინგარიშოთო“ — მოითხოვა.

— ვის იყოთ, თუ იცი მასხარად?! — განკისხდნენ რევიზორები — თითო აბაზზე მეტს არ კლებულობს და ერთ აბაზად ვინდა სამი გაცე მთელ დღეს გვაბეზარო?! სიკეთეს თუ არ შერბები, ჩვენ ვიცითო, — დაამოქონენ და სოფელს მიაშურეს.

დასხდნენ და დასწერეს: „იოსებ ალხანაშვილს, კოლმეურნეობის ცხრა ათასი მანეთის გამოფლანგვას ერთ აბაზ ნაკლებ, გაფლანგულის საფასურში ჩამოაკლდეს მისი ყოფილი მთელი წლის შრომა დღეები ღირებოლი 4500 მანეთად, და დაეჭიროს მისი ყოფილი 3300 მანეთის 66 ცედრო ღვინო“. დასწერეს და საქმეც ვადაკეთეს, მაგრამ შემოაღნიშნულ 7800 მანეთის კოლმეურნეობის საქმეებში გატარება დაავიწყდათ და „სადღაც დაეკარგად უგზო-უკვლოდ“.

აღტა ალხანაშვილი და სიმართლის ძებნა დაიწყო. რაიბროკურორმა ექსპერტი დაუ-

ნიშნა გაფლანგულის რაოდენობის გამოასაკვევად. დასხდნენ, არკვიეს და იმდენმა აბაზებმა დაიკლო, რომ იოსებ ალხანაშვილის „გაფლანგვა“ 28 მანეთზე ჩამოვიდა აბაზ ნაკლებ.

ვახარებულმა ალხანაშვილმა პირველ „რევიზორებს“ დანაკარგი 7800 მანეთის უკან დაბრუნება მოსთხოვა და ასეთი პასუხი მიიღო:

სტ ლოკი)

ჩემი საუინანსო პარიკა

(თარგმანი)

როცა ბანკში შევიდვარ, თავბრუ მეხვევა, ყველაფერი მიაკვებს. მაშინვე ვიბნევი და სულელივით გამოვიყურები.

მე ეს ვიგრძენი, როცა ჩემი ხელფასი ას დოლარამდე ავიდა გადავწყვიტე ფულები დამეგროვებია ბანკის საშუალებით. როცა ბანკში შევივდი ასეთი აზრი დამებადა, სანამ პირად ანგარიშს ვავხსნიდი, მენახა ბანკის მმართველი.

— შემიძლია მმართველი ვინახულო?

— როგორ არა, აი, ეს ვახლავთ მმართველი! და მან მიმითითა მმართველზე, რომელიც თავის კაბინეტიდან გამოდიოდა. თუ რისთვის უნდა მენახა მმართველი, ეხლაც არ ვიცი.

— მმართველი თქვენ ხართ? ვკითხე მას.

— დიახ. მე ვახლავარ! მიპასუხა მან.

— შემიძლია, ცალკე მოველაპარაკოთ? მმართველმა გაოცებით შემომხედა. მან ალბათ გაიფიქრა, რომ ჩემში რაღაც საშიში საიდუმლოება ინახებოდა.

— წაგიდეთ! მითხრა მან და თავისუფალ ოთახში შემეყვანა.

— აქ ჩვენ არავინ ხელს არ შეგვიშლის დაბრძანებით! ბრძანეთ რა გნებავთ! შემეკითხა.

ჩვენ ერთად დავსხვდით და ერთმანეთს დაუწყეთ ცქერა.

მე ნმა ჩამიწყდა ვერაფერს ვამზობდი.

— თქვენ ალბათ პინკერტონის კანტონდან იქნებით! წარმოთქვა მან, რომელმაც ალბათ ი იქრა, რომ მე პინკერტონის აგენტი ვიქნებოდი.

— არა, მე პინკერტონიდან არ ვახლავარ! ძოივისლა წავილულულულე. — მე მოვედი იმიტომ, რომ ბანკში პირადი ანგარიში ვავხსნა. მე მინდა თქვენს ბანკში ფულები შევიანხო. მმართველს თვალები გაუბრწყინდა. ამხედ-დახედა. ალბათ თუ გაიფიქრა, რომ მე ერთ-ერთი შვილი ვიქნებოდი ბარონ როტშილდის ან ახალგაზრდა გულდის.

— მსხვილი ანგარიში გექნებათ, უმჯობესია! იყო მისი შეკითხვა.

— ძალიან მსხვილი... ჩავილაპარაკე ჩემთვის, — განზრახული მაქვს ორმოცდაათექვსმეტი დოლარი ერთად შემოვიტანო და ორმოცდა ათი დოლარი ყოველთვიურად...

მმართველს სახეზე ფერი შეეკვილა. წამოიღია, ყარი გააღო და ერთ-ერთ თანამშრომელს მიმართა:

— ეს ჯინტლეინი ხსნის პირად ანგარიშს. მას უნდა ორმოცდა თექვსმეტი დოლარი შემოიტანოს.

მმართველმა ცივად მომმართა.

— ამერიკელი სატორიკოსი მწერალი.

— რა ფული, რის ფული, ვიფიქრებდა რომ მანაც აღმოგახნდა, ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ერთიანად... ახლა გურჯაანის რაიბროკურორს ვთხოვ: სამი მშაბიკის კოლექტივი შემდეგ საქითხში გაარკვიოს: ნემსის ქურდი თუ აქლემის ქურდს უდრის, აქლემის ქურდი რაღაც უდრის?

ვაა

— ნახემდის. მე წამოვედქი, ერთ-ერთი ოთახის გაღებულ რკინის კარი დავეინახე, მე გავემართე იმ ოთახისაკენ, რომელიც თურმე სეფი ყოფილიყო.

— მოითმინეთ! აი აქეთ მოზრძანდით! და მე მმართველის ოთახიდან გამოვედი და მივაღდე ერთ-ერთ საკბილოს, რომელზედაც წარწერა იყო:

„პირადი ანგარიში“.

მე საკბილიდან ვადავეცი ბანკის თანამშრომელს შეკრული ფულები. მე სახეზე აღამიანის ფერი არ შემჩნეოდა.

— მიიღეთ ფულები! მიემართე თანამშრომელს, მან ფულები მიიღო და გადასცა მორჩეს. თანამშრომელმა მიბრძანა ჩემი სახელი და გვარი რაღაც წიგნში ჩამეწერა. ჩემს თავში ყველაფერი ტრიალებდა.

— მიღებულა! მოისმა ვილაციის პასუხი და საბანკო წიგნაკი გადმომცეს. მე აზრი დამებადა ექვსი დოლარი უკანვე მიმელო.

— მაშ, შეიძლება გამოვიწერო? ვკითხე მე.

— როგორ არა, იყო პასუხი.

წიგნაკი უკანვე გამომართვეს და მითხრეს: სად უნდა ჩამეწერა მისაღები თანხა. მე ჩავწერე. თანამშრომელმა გაოცებით შემომხედა.

— როგორ, მთლად მივაქვთ?, მე მივხვდი რომ ექვსის მაგიერ ორმოცდა თექვსმეტი ჩამეწერა, აღარ ვიცოდი რა მექნა.

— დიახ, დიახ, მიუგე მე.....

თქვენ მივაქვთ ბანკიდან მთელი ფული.

— უკანასკნელ ცენტამდე! — ვადაჭრით ეუპასუხე.

— თქვენ არ ფიქრობთ ოდესმე შემოიტანოთ ფული? გაოცებით იკითხა თანამშრომელი.

— არა, არადროს. თანამშრომელმა მოსაცემ ფულებს დაუწყა თვლა.

— როგორ გნებავთ?

— რაო?

— რამდენი გნებავთ?

— ორმოცდაათიანი.

მან მომცა ორმოცდაათიანი ბილეთი.

— ექვსი?

— ექვსიანი.

ფულების მიღებისთანავე ბანკიდან გამოვარდი, უკან ხარხარი მომესმა. მეგონა ყველანი ჩემზე იცინოდნენ, ამის შემდეგ მე ბანკში ფეხი აღარ შემიდგამს.

ჯამაგირიდან აღებულ ფულებს ჯიბით ვატარებ.

სოფ. ზურტის (გორის რაიონი) კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა ლექსი...

კოლექტივის ქონება ჩვენ ფეხებზე გვეკიდა, გული არ მოგვიმილიდა...

ლექსი, ტერან, დარჩუა ხმაშეწყობით ვგალობდით კოლექტივში...

შრომა ვასჯა ოფლის დერა, არ გვინდოდა, არ გვწამდა, ვაი, მუქთა-ხორობა...

ფეხიდან ვდვარდით, შეგვიცვალეს „ვილია“ — ლილინობენ „გმირები“...

ჭკუაბავლე

გზადაგზა

სამტრიალი

ვასოლ წილში პარაშუტის დიდი კოშკი აქ აიგო, ხტომას როდის დაიწყებენ...

სალიეთი

მალღა აბრას აწერია, რეკლამისთვის „სალიეთი“ ის, საველე სადგური...

წვიმა ალბომს ამ შენობას დათვლილი აქვს დღე და წუთი, შეგუდება არ დაუდგება...


პატრონი და მოამბე არაინ სჩანს, არსად არი, უკაროა, უფანჯარო, „დახვინტრიცობს“...

დეპეშა ნიანგს

ასკანის კოლმეურნეობაში (გურია) მე-ხუთე ბრიგადის ჩაის ფარობაში, კოლმეურნი...

რომ არ აწყენს ასკანელ პირობებს ზემო აღნიშნული?

ბახველი



ცოლი:—მიშველეთ, მომენმარეთ, მიხსენით, ექიმი ჩქარა! გოგი, ჩემი საუფარელო...

გოღოგრი

პავილდოს (ამბროლაური) ამბროლაურის რაიონის სოფ. ზედა შუგელის კოლმეურნი...

ვაშლიანს მოგახსენებთ, ბევრი არაფერიაო, კოლექტივის თავჯდომარენ ცოდვები აქვს ბევრიაო...

„კაცს სოფლიდან აძევებდენ და მამასახლისობას იჩემებდაო.“ ილოს (გურჯაანი) იწერებით, „კავშირგაბმულობის გურჯაანის ინსპექტორი მუდამ მთვრალიაო.“

ზურნბრიგია რომ ღკინოსთან კავშირის გამბეღ კავშირგაბმულობის ინსპექტორს საქმისთან კავშირი გაწყვეტილი ექნება.

ახალს (კულაში, სამტრ. რაიონი) ვილოცავთ (კოცხლად ვადარჩენას კულაშის კობერატიუთან ვავლის დროს, რასაც თქვენი ლექსი ასე აგვიწერს.

კობერატიულ ლექსის წინ შემზედნენ ნაქონები ძველია გადამეხვიენ კისერზე ვაჩაღდა კოცხა ცხელია. ერთმა ბარიშამ ლოყაზე მომისვა ენა სველია!

რატომ არ ასახელებთ ვინ არიან ენ გმირები. თქვენი ლექსის სხვა ნაწილი მომავალ ნომერში დაისტამბება.

მ. საშუმს (აბაშა): —თქვენი პოემა—სპონდენცია ასე იწყება: აბაშის საპირფარეოს ნიანგურად გაგკრათ კბილი. როცა მიველ, იყო მაგრად ცრა ბოქლომით დაკეტულია.

თქვენ რაც ვინდათ, ის შქებით, კბილი კი არა, თუ ესურთ ცხვირიც ვაპყროთ, ხოლო ჩვენ თავი დაგვანებე, კბილგასაჭრავი კი თქვენი წერილია.

ცხინვალელს (ცხინვალი):—გვეწერთ, რომ ამხ. გიცის წყალობით მარილი ძვირია და თანაც წინად არც იშოვნებოდაო. ეს მართალია, რაც ჩანს იქიდან, რომ, ჯერ ერთი ამ თქვენს, წერილში მარილი არ არის (ალბათ წერის დროს მარილი არ იშოვნებოდა, ანდა ძვირი იყო და ვერ იყიდეთ).

მი-სას (ნასაკირალი, მახარაძის რ.):—ვბეჭდეთ კვიროსი დარჩიას სიმღერას: ბიჭად ბიჭი კარგი ვარ მე კვიროსი დარჩია. ჩემმა თვალმა მუშებში კლაფა ამოაჩრია.

ვაველცხადე წადილი, მაგრამ მითხრა ვარია; როცა ძალას მიემართე ცხვირს მდინა ძაბოა.

გყოფა. ჯერჯერობით ეს გაკმართო.

მმ. გამომტომავაშლია „კრავილილიანს“.

„ნიანგის“ №-7 მე-15 გვ უკანასკნელ სვეტის პირველ აბზაცში წერია: „გამასწოვრებული სახლებია და ციხეები“ უნდა იყოს გამასწორებელი სახლებია და არა ციხეები.

დღის ბიზნისი



საქართველოს
ქიმი ავტოლოგის სიზმარი

— ნუ თუ ამდენი ბავშვები დავნოცე?...ძველმა ცოდვამ თუ მიწია,
სად გავექცე ამ საშინელებას?

ბათუმის რუ № ბ-10366

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ №5

პ. მ. რედაქტორი ს. მუღლი

სტამბა "კომუნისტი" კაპოს ქ. №68